ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2711613

ნომერი: AR1418454

თარიღი : 30.06.2016

გაცემის თარიღი : 13.07.2016

გაცნობის თარიღი : 13.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვერის შესახვევი N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 30.06.2016 წ. №AR1418454 განცხადებით მომართა რევაზ ტყემალაძემ (თანაგანმცხადებელი ზურაბ ქასრაშვილი) და მოითხოვა 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ ფუნქციური ზონის ცვლილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, კოსტავა ქ. I შესახვევი №9-ში

არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.03.010.107, ფართობი 339 კ.მ.) სავაჭრო ობიექტის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.10.2015 წ. №2208213 და 28.03.2016 წ. №2503102 ბრძანებებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში, კერძოდ: პირობებს დაემატა ფუნქციური ზონა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1).

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მოხდა ფუნქციური ზონის ცვლილება და აღნიშნული მიწის ნაკვეთზე ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირებული იქნეს მხოლოდ ერთი ფუნქციური ზონა– საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნას შემდეგი შენიშვნები:
   - ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განახლებული დანართი, ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის დატანით;
   - ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს: შენობა-ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა–2 (სსზ–2)–ის არეალში;
   - ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ჩანაწერი სატრანსპორტო ზონის განმარტების კუთხით;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნას შემდეგი დოკუმენტი: საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონების ახალი სქემატური ნახაზი (იხ. დანართი);
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.07.2012 წ. №282175 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.10.2015 წ. №2208213 და 28.03.2016 წ. №2503102 ბრძანებებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.